



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49212111

თარიღი:30/07/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 42

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის ანგარიში 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ა ნ გ ა რ ი შ ი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ 2020 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას. კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის პერსონალური შემადგენლობა განსაზღვრულია 14 საკრებულოს წევრით. კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია სათანადო მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან. კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს. განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტი და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ 2020 წელს ჩაატარა 10 სხდომა, სადაც განხილული იქნა 13 საკითხი. კერძოდ,

31 იანვარი:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მეოთხე კვარტლის სარეზერვო ფონდის განკარგვის შესახებ, ინფორმაციის თაობაზე.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „2014 -2020 წლების შავი ზღვის აუზის ქვეყნების“ პროგრამის ფარგლებში პროექტის - „თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის“ (BSB 1138) განხორციელებისათვის, ევროკავშირისგან 718 244.92 ევროს

ოდენობის გრანტის მიღებისა და ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე, თანხმობის მიცემის შესახებ.

19 თებერვალი:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

27 თებერვალი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2019 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

2. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

27 მარტი:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის - საგანგებო ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე.

28 მაისი:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

31 აგვისტო:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

25 სექტემბერი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების შესახებ.

24 ნოემბერი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

27 ნოემბერი:

1. „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

25 დეკემბერი:

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილებასთან ერთად მომზადებული სამართლებრივი აქტის პროექტები, კომისიის დასკვნები და ასევე, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტები, გატანილი იქნა ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად და საკრებულოს მიერ მიღებული იქნა შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.